

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

იზა ბუკია

საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2020

ნაშრომი შესრულებულია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **გულნაზ ერქომაიშვილი**
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ოფიციალური შემფასებლები: **მიხეილ ჩიკვილაძე**
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მურმან კვარაცხელია
პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება: 2020 წლის 03 აგვისტოს, 12:00 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე

მისამართი: 0177, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2; თსუ X კორპუსი, აუდიტორია N206

სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი

მ. ლობჯანიძე

შინაარსი

თემის აქტუალობა.....	4
კვლევის მიზნები და ამოცანები.....	5
კვლევის საგანი და ობიექტი.....	6
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	6
სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე.....	6
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.....	8
ნაშრომის აპრობაცია.....	8
ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.....	8
დისერტაციის ძირითადი შინაარსი.....	9
დასკვნები და რეკომენდაციები	11
გამოქვეყნებული შრომები.....	21

თემის აქტუალურობა

მეწარმეობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისთვის. საგადასახადო პოლიტიკის შედეგად შემუშავებულ და განხორციელებულ გადაწყვეტილებებს კი არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე. მეწარმეობის განვითარების სტრატეგია დიდადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ საგადასახადო სისტემაზე და მისი ფუნქციონირების მექანიზმზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თითოეული საგადასახადო საკანონმდებლო ცვლილებების გაანალიზება არა მარტო თეორიულ დონეზე, არამედ მისი შედეგების იდენტიფიცირება მეწარმეების პოზიციიდან და მათი ურთიერთშედადება. მოცემული კვლევები საშუალებას მოგვცემს, რომ ნათლად დავინახოთ თეორიული ანალიზის შედეგები, რამდენად მართლდება ის მეწარმეებისთვის პრაქტიკაში. იქიდან გამომდინარე, რომ აუცილებელია მეწარმეების ხელშეწყობა მათი ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, პირველ რიგში აუცილებელია გამოვლინდეს სამეწარმეო საქმიანობის ხელისშემშლელი ფაქტორები და ხარვეზები, რათა შემუშავებული იქნეს რეკომენდაციები, რომელიც საშუალებას მისცემს მეწარმეებს განავითარონ თავიანთი საქმიანობა.

საგადასახადო სისტემის, საგადასახადო პოლიტიკის და ზოგადად გადასახადების თემას მიეძღვნა ქართველი მეცნიერების მრავალრიცხოვანი შრომა, როგორებიცაა: ვ.პაპავა, რ.გველესიანი, რ.აბესაძე, ი.ანანიაშვილი, ე.მექვაბიშვილი, მ.ჩიკვილაძე, გ.ერქომაიშვილი, მ.თოქმაზიშვილი ვ.ბასარია, რ.ბასარია, ლ.ბახტაძე, რ.კაკულია, კ.ადამია, გ.მალაშხია, თ.კოპალეიშვილი, და სხვა, რომლებიც მოცემული სფეროს სხვადასხვა მიმართულებას იკვლევენ. აღნიშნული ნაშრომი კი ერთგვარი გაგრძელებაა მოცემული სფეროს კვლევის მიმართულებით.

იმისათვის, რომ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პირობები გაუმჯობესდეს, მნიშვნელოვანია მეწარმეობის განვითარება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის, რაც იქნება ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გარანტი. ქვეყნის ეფექტური და გამართული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება დამოკიდებულია, სახელმწიფოს მიერ გატარებულ რაციონალურ საგადასახადო პოლიტიკასა და

საგადასახადო სისტემის ეფექტურ მუშაობაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რომ საკანონმდებლო ცვლილებების დროს გათვალისწინებული იყოს საგადასახადო ტვირთის განაწილების სამართლიანობა და სისწორე.

მოცემული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, მაშინ როდესაც ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის სწორი მიმართულებით განსახორციელებლად მოქმედების არეალი შეზღუდულია. ამ შემთხვევაში იგულისხმება კონსტიტუციის ჩანაწერი (94 მუხლი), რომელიც დიდწილად ზღუდავს გატარებული რეფორმების მოქმედების არეალს. შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივები ორმაგად დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან განხორციელებულ რეფორმებს არ ჰქონდეს უარყოფითი გავლენა მეწარმეებზე.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსი მიღებულია 2010 წელს და იგი 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა, საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგების საკვლევ პერიოდად აღებულია 2011 - 2019 წლების მონაკვეთი.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია საგადასახადო პოლიტიკისა და სამეწარმეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის საფუძველზე, მეწარმეობის განვითარებაზე სხვადასხვა საგადასახადო გადაწყვეტილებების გავლენის შეფასება და საქართველოში მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების შესაძლებლობების გამოვლენა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანები:

- საგადასახადო პოლიტიკისა და მეწარმეობის ურთიერთზემოქმედების შედეგების შეფასება;
- მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა;
- საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმების შედეგების გაანალიზება;
- ქართველი მეწარმეების პრობლემების გამოვლენა და განხორციელებულ

საკანონმდებლო ცვლილებებზე მათი შეფასებების შესწავლა;

- მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების გზების განსაზღვრა.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა და მისი ფუნქციონირების მექანიზმი, ხოლო კვლევის ობიექტია საქართველოს საგადასახადო პოლიტიკისა და მისი სრულყოფის მიმართულებით განხორციელებული რეფორმების გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებს, ექსპერტების მოსაზრებებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მასში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივისა და თვისებრივის, ისტორიულისა და ლოგიკურის, ინდუქციის, დედუქციის და სტატისტიკის მეთოდები. ნაშრომში აგრეთვე გამოყენებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კანონქვემდებარე აქტები, მეთოდური მითითებები. იგი ასევე ეფუძნება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკურ მასალებსა და პუბლიკაციებს, როგორცაა მაგ: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG), ევროსტატი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები მეცნიერული სიახლეების სახით მდგომარეობს შემდეგში:

- შესწავლილი და გაანალიზებულია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების

(აშშ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები) საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, საგადასახადო სისტემები, განხორციელებული რეფორმები და მათი გავლენა მეწარმეობაზე, საქართველოსთვის ამ სფეროში გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით;

- შესწავლილი და გამოვლენილია ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები, აქ განხორციელებული რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები და მათი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, ევროკავშირში ინტეგრაციამდე და მას შემდეგ, საქართველოსთვის მოკლევადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით;

- შეფასებულია საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმები და მისი შედეგების გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე;

- საქართველოში გამოკითხულ მეწარმეთა კვლევის შედეგების საფუძველზე დადგენილია მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი გარემოებები და მიზეზები, კერძოდ: ა) საკრედიტო რესურსების რთული ხელმისაწვდომობა; ბ) ფალსიფიცირებული ან/და უხარისხო პროდუქციისაგან ბაზრის დაუცველობა; გ) ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა; დ) მაღალი საგადასახადო განაკვეთები, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი;

- შეფასებულია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის გავლენა საგადასახადო პოლიტიკაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში არათანაბარ პირობებში აყენებს მეწარმეებს და საგადასახადო პოლიტიკის გამტარებლებისათვის ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება, რათა მათ შეიმუშაონ და განახორციელონ ოპტიმალური ღონისძიებები და რეფორმები საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით;

- საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმებისა და გამოკითხულ მეწარმეთა კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები, მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომში მოცემული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ფინანსთა სამინისტროს მიერ, საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით საკანონმდებლო ინიციატივების ინიცირებისას. გარდა ამისა ნაშრომში მოცემული დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იქნება სხვადასხვა საკანონმდებლო ორგანოსათვის, სამთავრობო სტრუქტურებისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის ლექცია-სემინარებზე ისეთ სასწავლო კურსებში, როგორცაა: 1. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციები; 2. ეკონომიკური პოლიტიკა კომპლექსურ სამყაროში; 3. საგადასახადო პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შედგა 2019 წლის 15 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე (ოქმი N2).

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, რვა ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მას თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები. ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე ნაბეჭდი 226 გვერდის მოცულობით. მასში მოცემულია 5 ცხრილი და 23 დიაგრამა. ნაშრომს თან ახლავს ლიტერატურის სია 139 დასახელებით და გამოყენებული ინტერნეტ რესურსი 54 დასახელებით.

შინაარსი

შესავალი

თავი I. საგადასახადო პოლიტიკისა და სამეწარმეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების ევოლუცია გლობალიზაციის პირობებში

1.1 საგადასახადო პოლიტიკის ევოლუცია

1.2 საგადასახადო პოლიტიკის როლი მეწარმეობის განვითარებაში

თავი II. მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება

2.1 აშშ-ს საგადასახადო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე

2.2 ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები

2.3 საგადასახადო პოლიტიკისა და მეწარმეობის ურთიერთემოქმედების შედეგები ვიშეგრადის ქვეყნებში ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ

თავი III. მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და განვითარება საქართველოში

3.1 საგადასახადო პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

3.2 მეწარმეობის განვითარების მიღწეული შედეგები და წინააღმდეგობები

3.3 მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება საქართველოში

დასკვნები და რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

დისერტაციის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ეკონომისტების მიერ შემუშავებული თეორიები და მიდგომები, გადასახადების, საგადასახადო სისტემის, დაბეგვრის და მეწარმეობის შესახებ. გადმოცემულია საგადასახადო პოლიტიკისა და სამეწარმეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების ევოლუცია გლობალიზაციის პირობებში. მიმოხილულია საგადასახადო პოლიტიკის განვითარების ეტაპები. გადმოცემულია საგადასახადო პოლიტიკის როლი მეწარმეობის განვითარებაში, დასაბუთებულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული საკანონმდებლო (საგადასახადო მიმართულებით) ცვლილების განხორციელების დროს სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარება.

მეორე თავში განხილულია მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება. კერძოდ, განხილულია ამერიკის შეერთებულ შტატების, ევროკავშირის და ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო

პოლიტიკა, საგადასახადო სისტემის თავისებურებები და ფუნქციონირების პრინციპები. შეფასებულია გატარებული რეფორმები, სტრატეგიები/ლონისძიებები და მათი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე. ვიშეგრადის ქვეყნების მაგალითზე გაანალიზებულია მოცემული ქვეყნების საგადასახადო სისტემის ტრანსფორმაცია ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ. ასევე შეფასებულია ძირითადი გადასახადების (მოგება, საშემოსავლო, დღგ) განაკვეთების ცვლილების დინამიკა; განხილულია მეწარმეობის და მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობაზე; შედარებულია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მთლიანად მეწარმეობაში.

მესამე თავში გადმოცემულია მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და მისი განვითარება საქართველოში. შეფასებულია საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა და გადასახადები. დეტალურად არის განხილული საკანონმდებლო ცვლილებები. გაანალიზებულია საგადასახადო პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობა. რა სტრატეგიები არის სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის განსავითარებლად შემუშავებული. რა სტრუქტურები შეიქმნა მეწარმეებისთვის, რომ მათი ფუნქციონირება უფრო წარმატებული გახდეს ბაზარზე. განხილულია მეწარმეობის განვითარების მიღწეული შედეგები და წინააღმდეგობები. დეტალურად არის განხილული კვლევის შედეგები, რომელიც გადასახადის გადამხდელებში ჩატარდა. მოცემული კვლევის საფუძველზე დაიდენტიფიცირდა მათი პრობლემები და დიდი წნეხის მქონე გადასახადის სახე. შეფასდა განხორციელებული საგადასახადო საკანონმდებლო ცვლილებების უარყოფითი და დადებითი ეფექტები. გამოვლინდა ეკონომიკის სექტორები, რომელთაც მეტი ხელშეწყობა სჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან. მეწარმეთა გამოკითხვის საფუძველზე გამოკვლეულია საგადასახადო სისტემის/კანონმდებლობის ნაკლოვანებები და სასურველი საკანონმდებლო ინიციატივები. შემუშავებულია მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციები.

დასკვნები და რეკომენდაციები

მეწარმეობის განვითარება ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. იგი ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრესი გარანტიაა. რაციონალური საგადასახადო პოლიტიკა და სწორად შერჩეული გადასახადები უზრუნველყოფს ქვეყანაში ეფექტური სამეწარმეო გარემოს არსებობას, რომელიც წახალისებს მეწარმე სუბიექტებს დაიწყონ და განავითარონ ბიზნესი, ეს კი თავის მხრივ საფუძველია იმისა, რომ ქვეყნის ბიუჯეტში მობილიზდეს ოპტიმალური დონის გადასახადები.

ნაშრომში შესწავლილია საგადასახადო პოლიტიკისა და სამეწარმეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების ევოლუცია გლობალიზაციის პირობებში, მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება, კერძოდ, გადმოცემულია აშშ-ს საგადასახადო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის თავისებურებები, საგადასახადო პოლიტიკისა და მეწარმეობის ურთიერთზემოქმედების შედეგები ვიშეგრადის ქვეყნებში ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სისტემა მკვეთრად განსხვავდება ევროპის ქვეყნების საგადასახადო სისტემისაგან. აშშ-ს გააჩნია გადასახადების სამი დონე: სახელმწიფო, ფედერალური და ადგილობრივი დონე, შესაბამისად, მათი ადმინისტრირებაც ხდება სხვადასხვა დონეების მიხედვით. გადასახადები მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან მოქმედების დონეების მიხედვით, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში მოქმედი საგადასახადო სისტემა და გადასახადები კომპლექსურია. გადასახადები სხვადასხვაგვარია, თუმცა ერთი ძირითადი სხვაობა, რომელიც მას აქვს ევროპის ქვეყნებთან შედარებით, არის ის, რომ აშშ-ში არ მოქმედებს დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), განსხვავებით ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისა და ასევე საქართველოსი. ზოგადად აშშ-ის საგადასახადო შემოსულობების უმეტესი ნაწილი შედგება პირდაპირი გადასახადებისგან და განხორციელებული რეფორმების ძირითადი ნაწილი სწორედ პირდაპირ გადასახადებს ეხება. რაც შეეხება

მცირე ბიზნესის მდგომარეობას აშშ-ში, მას წამყვანი ადგილი უკავია და 2018 წლის მონაცემებით 90%-ზე მეტს შეადგენს.

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით ევროკავშირი ძირითად აქცენტს არაპირდაპირ გადასახადებზე აკეთებს და მათ მიერ განხორციელებული რეფორმების უმეტესი ნაწილი სწორედ არაპირდაპირ გადასახადებს, განსაკუთრებით დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) და აქციზს ეხება. ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მოიცავს შემდეგს: საგადასახადო ტვირთის და საგადასახადო განაკვეთების შემცირებას, საგადასახადო სერვისების გამარტივებას და მეტწილად ელექტრონულად მიღება/წარმოებას, საგადასახადო დავების გადაწყვეტის ერთიანი მექანიზმების ჩამოყალიბებას, გადასახადების გადახდისაგან თავის აცილების პრევენციას, საგადასახადო გამჭირვალობის გაზრდას, სამართლიანი საგადასახადო სისტემის შემუშავებას და ინფორმაციის ავტომატურ გაცვლას.

ვიშეგრადის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შეჯერებით გამოიკვეთა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებამდე მოცემულმა ქვეყნებმა საკმაოდ რთული გზა განვლეს, რაც პირველ რიგში გამოიხატა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდით. განხორციელდა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება, საფუძველი ჩაეყარა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებულ მეწარმეობას, განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც მეწარმეობის მხარდასაჭერად, ასევე ზოგადი საკანონმდებლო ბაზების გამართვის კუთხით. სწრაფად გაიზარდა მცირე და საშუალო ბიზნესი და მისი პროცენტული წილი მეწარმეობაში, თუმცა მიუხედავად ამისა, მათ მიერ საკმარისად ვერ ხერხდებოდა დასაქმების და დამატებული ღირებულების შექმნის კუთხით მაჩვენებლების გაზრდა მსხვილ ბიზნესთან მიმართებით. ამიტომ მოცემულ ქვეყნებში მიმდინარეობს მხარდამჭერი პროგრამები სხვადასხვა მიმართულებით, რომ გაძლიერდეს მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკაში. ვიშეგრადის ქვეყნებში საგადასახადო შემოსავლებში, უფრო დიდი წილი უჭირავს არაპირდაპირ გადასახადებს და განხორციელებული რეფორმებიც მოცემული ტიპის გადასახადებს ეხება.

საქართველოში არსებული საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად შეიძლება გამოიყოს შემდეგი: გადასახადის გადამხდელებისთვის გარკვეული

შეღავათების მიცემა სხვადასხვა სტატუსის მინიჭების მეშვეობით, ასევე მოგების გადასახადის საშეღავათო მოდელის შემოღება გარკვეული კატეგორიის გადამხდელებისთვის (რათა ხელი შეეწყოს მათი ბიზნესის გაფართოებას), საგადასახადო განაკვეთების შემცირება, საგადასახადო სამართალდარღვევებზე არსებული სანქციების შემცირება, ელექტრონული სერვისებით სარგებლობა საგადასახადო ორგანოებთან სხვადასხვა მიმართულებით და ა.შ. მოცემული ხორციელდება სწორედ იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს გადასახადის გადამხდელს, დაიწყონ ახალი ბიზნესი ან გააფართოონ უკვე არსებული, გაიმარტივონ ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან და ა.შ.

საქართველოში მოქმედი გადასახადებიდან ბიუჯეტის შემოსულობებში თავისი წილობრივი მონაწილეობით წამყვანი სამი გადასახადია: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), საშემოსავლო გადასახადი და აქციზის გადასახადი. განხორციელებული რეფორმები აღნიშნულ გადასახადებსაც შეეხო. საგადასახადო კუთხით საქართველოში გატარებული ძირითადი რეფორმების ანალიზისა და ჩვენს მიერ მეწარმეთა გამოკითხვის კვლევის შედეგების საფუძველზე მეტად საინტერესო შედეგებს ვღებულობთ. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

აქციზის გადასახადის ჭრილში ცვლილება შეეხო თამბაქოს პროდუქციას, სადაც 2015 წლიდან მოყოლებული აქციზის გადასახადის განაკვეთი რამდენჯერმე შეიცვალა. საბოლოო ჯამში თამბაქოს სახეობების მიხედვით განაკვეთის ზრდა 75-დან 200 პროცენტამდე დიაპაზონში მერყეობს. აქედან გამომდინარე, შემცირდა თამბაქოს პროდუქციის იმპორტი, თუმცა მიუხედავად ამისა, ბიუჯეტში მობილიზებული თამბაქოზე გადახდილი აქციზის გადასახადი გაიზარდა. აღნიშნული წნეხად აწვება გადასახადის გადამხდელს და ბუნებრივია მათ საქმიანობაზე უარყოფითად აისახება, რაც ჩანს ჩატარებულ კვლევაში, სადაც უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმებიდან მეწარმეების 22% აქციზის გადასახადის რეფორმას უარყოფითად აფასებს. აღსანიშნავია რამდენიმე რისკ-ფაქტორიც: შესაძლოა მოცემული საქმიანობის უმეტესი ნაწილი (თამბაქოს წარმოება/რეალიზაცია) გადავიდეს ჩრდილოვან ეკონომიკაში და აქედან გამომდინარე, დაიკარგოს შემოსავლები ბიუჯეტში; შესაძლოა ასევე საზღვრისპირა

რეგიონებიდან შემოვიდეს უაქციზო საქონელი საბაჟოს გვერდის ავლით. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ აქციზის გადასახადის განაკვეთის შემცირების სურვილს მხოლოდ მეწარმეების 7% გამოთქვამს (პროცენტული მაჩვენებლის სიმცირე მიანიშნებს იმაზე, რომ მოცემული რეფორმის სამიზნე ჯგუფი ქვეყანაში დიდი რაოდენობით არ არის წარმოდგენილი).

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჭრილში, რეფორმა ავანსების კუთხით 2017 წელს განხორციელდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ დასაბეგრი ოპერაციის თანხის განსაზღვრის დროს, იბეგრება მიღებული კომპენსაციის თანხა, ხოლო დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ განისაზღვრება არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის ან/და გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის ან მისი თანხის ნაწილის გადახდის მომენტი (საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2010. 2019 წლის 24 მაისის მდგ). მოცემული ცვლილება შესაძლებელია გამართლებული იყოს მშენებლობის სექტორისთვის (თუ მეწარმე საქმიანობს მშენებლობის სფეროში, მის მიერ ბინების გაყიდვიდან მიღებული თანხები იბეგრებოდა მხოლოდ ბინის ექსპლუატაციაში გადაცემის დროს, მაგრამ ამ საკანონმდებლო ცვლილებით, ის თანხები რომელიც აღებულია მშენებლობის მფლობელის მიერ განიხილება ავანსად და იბეგრება თანხის მიღების დროს, მიუხედავად იმისა, ბინა ჩაბარებული არის თუ არა ექსპლუატაციაში). თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული შეეხო ყველას განურჩევლად საქმიანობის სახისა, მოცემული საკანონმდებლო ცვლილება უარყოფითი გავლენის მქონე საგადასახადო რეფორმებიდან მეწარმეების 61%-ის მიერ უარყოფითად შეფასდა. ხოლო იმ მეწარმეებისთვის, რომლებიც მოცემული გადასახადის გადამხდელები არიან, მეწარმეების 63% თვლის, რომ მოცემული საკანონმდებლო ცვლილება მათ საქმიანობაზე უარყოფითად აისახა. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული გადასახადის განაკვეთის შემცირების სურვილი მეწარმეების 25%-მა გამოთქვა. მოცემული რეფორმის შემთხვევაში კი მეწარმეების უარყოფითი შეფასება გამოიწვია არა გადასახადის განაკვეთმა, არამედ მოცემული განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციის და მისი დროის განსაზღვრამ.

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების (მიკრო, მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი) შემოღებას 2011 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსში და მინიჭებული სტატუსების მიხედვით გარკვეული შეღავათების მიცემას მეწარმეებისთვის მკვეთრად გამოხატული დადებითი გავლენა აქვს (2018 წლიდან კი შეიცვალა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეების, როგორც ერთობლივი შემოსავლის ზედა ზღვარი, ასევე შემცირდა გადასახადის განაკვეთი). მოცემული სტატუსების მინიჭებით მეწარმეებს საშუალება აქვთ წელიწადში მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით მიიღონ შესაბამისი სტატუსი. აღსანიშნავია, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე არ იხდის საშემოსავლო გადასახადს (ერთობლივი შემოსავლის ზედა ზღვარი 30,000 ლარი), მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე იხდის 1%-ს ან 3%-ს 2018 წლიდან, რომელიც დამოკიდებულია დასაბეგრი ერთობლივი შემოსავლის ოდენობაზე (ერთობლივი შემოსავლის ზედა ზღვარი 500,000 ლარი). ხოლო, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირსთვის კი, განაკვეთი არის ფიქსირებული, რომელიც დამოკიდებულია საქმიანობის სახეზე და ის მერყეობს 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში ან დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%-ის ოდენობით. კვლევაზე დაყრდნობით მოცემული საკანონმდებლო ცვლილება ამ სტატუსების მქონე მეწარმეების 93%-ისთვის არის დადებითი გავლენის მქონე თავიანთ საქმიანობაში, რაც ერთმნიშვნელოვნად ამართლებს მიღებულ რეფორმას და მეწარმეებს დიდ სტიმულს აძლევს. ხოლო, დადებითი გავლენის მქონე რეფორმებიდან მეწარმეების 13%-ის აზრით არის, ზოგადად სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შემოღება, ხოლო, ასევე დამატებით 13%-ის მოსაზრებით კი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის ერთობლივი შემოსავლის ზედა ზღვრის გაზრდა და გადასახადის განაკვეთის შემცირება. საერთო ჯამში კი მეწარმეების 26%-ის აზრით, დადებითი გავლენის მქონე რეფორმებიდან, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა. აქვე აღსანიშნავია, რომ ასევე მოცემულ კვლევაზე დაყრდნობით საშემოსავლო გადასახადის შემცირების ინიციატივას გამოხატავს მეწარმეების (58%) უმეტესობა (რაც ასევე შესაძლებელია გამოწვეული იყოს საპენსიო ფონდის დაარსების გამო).

მოგების გადასახადის რეფორმა ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებიდან ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანია. მოცემული რეფორმა შეეხო საქმიანობის უმეტეს ნაწილს, ხოლო გარკვეული კატეგორიისთვის დარჩა 2017 წლამდე მოქმედი მოგების გადასახადის მოდელი. ბუნებრივია მოცემულ რეფორმას გააჩნია უამრავი ნიუანსი, თუმცა ძირითადი სხვაობა, რაც არის ამ ორ მოდელს შორის, მდგომარეობს შემდეგში: რომ მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის მოსარგებლებს საშუალება ეძლევათ არ დაბეგრონ რეინვესტირებული მოგება. ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილების მიზანია, ხელი შეუწყოს მეწარმეებს, განავითარონ თავიანთი ბიზნესი და არ დაიბეგროს ის თანხები, რომლებიც რეინვესტირებას მოხმარდება. ეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბიზნესის გაფართოებას, რაც ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გარანტია. მოცემული რეფორმა არის გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივაზე. რაც შეეხება კვლევის შედეგებს მოცემულ რეფორმასთან დაკავშირებით, აქ ფიქსირდება საინტერესო ფაქტი, რომ აღნიშნული რეფორმა ხვდება როგორც დადებითი გავლენის მქონე რეფორმებში, ასევე უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმებში, თუმცა, ბუნებრივია პროცენტულად დიდი განსხვავებით. აღსანიშნავია, რომ დადებითი გავლენის მქონე რეფორმებიდან ყველაზე დიდი პროცენტული წილით (45%) მეწარმეების მიერ სწორედ მოცემული რეფორმა სახელდება, ხოლო უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმებიდან მეწარმეების 8% მოცემულ რეფორმას უარყოფითად აფასებს. ხოლო უშუალოდ მოცემული მოდელის გადამხდელების 64% კი აღნიშნავს, რომ რეფორმას აქვს მკვეთრად გამოხატული დადებითი გავლენა მათ საქმიანობაში. ამავე კვლევაზე დაყრდნობით მეწარმეების მხოლოდ 5% გამოთქვამს სურვილს, შემცირდეს მოგების გადასახადის განაკვეთი. აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის განაკვეთი ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია ევროპის მასშტაბით.

ასევე აღსანიშნავია, რომ საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საგადასახადო სანქციების ლიბერალიზაცია და ამ მიმართულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში არაერთგზის შევიდა ცვლილებები და მოცემული შეეხო სხვადასხვა ტიპის საგადასახადო სამართალდარღვევებს. კვლევაზე

დაყრდნობით დადებითი გავლენის რეფორმებიდან მეწარმეების 15%-ის აზრით არის სწორედ საგადასახადო სანქციების შემცირება.

ასევე მეწარმეებისთვის საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის და საქმიანობის გამარტივების მიზნით განხორციელდა რეფორმა, სადაც გადასახადების მიხედვით დაყოფილი სხვადასხვა სახაზინო კოდები გაერთიანდა და 2016 წლიდან გახდა ერთიანი სახაზინო კოდი. მოცემული რეფორმა მეწარმეების 12%-ის მიერ დადებითად შეფასდა.

მეწარმეებისთვის საქმიანობის გამარტივების მიზნით, გატარდა რეფორმა, რომელიც მოიცავს ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების სერვისს, იგი ძალაში 2016 წელს შევიდა, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ დამატებული ღირებულების გადასახადში (დღგ) არსებული ზედმეტად არსებული თანხის (მეწარმეებისთვის) ავტომატური დაბრუნების სერვისს (სავალუტო ფონდის რეკომენდაცია) ის 2019 წლიდან ამოქმედდა. მოცემული რეფორმა არის ძალიან მასშტაბური და ასევე მნიშვნელოვანი მეწარმეებისთვის. აღნიშნული ემსახურება, რომ გადასახადის გადამხდელებს ჰქონდეთ საშუალება დროის მოკლე მონაკვეთში დაიბრუნონ ზედმეტად არსებული თანხები. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ მოცემული რეფორმა არის ახალი მიღებული და ძალაში მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან შევიდა, კვლევაზე დაყრდნობით აღნიშნული სერვისით არ უსარგებლიათ მეწარმეების 53%, ხოლო მოცემულ რეფორმას დადებითად აფასებს 25%.

ზემოთ მოცემული საგადასახადო რეფორმების ანალიზმა და ასევე მოცემულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით მეწარმეებში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ განხორციელებული რეფორმებიდან უმეტესი არის დადებითი გავლენის მქონე, თუმცა ასევე ფიქსირდება უარყოფითი გავლენის მქონე რეფორმებიც. სახელმწიფოს მიერ კი სასურველია იქნეს დაცული ის ოქროს შუალედი, რომ განხორციელებული რეფორმა არ იყოს ბიუჯეტის დეფიციტის მიზეზი, მაგრამ ამავდროულად ის დიდ საგადასახადო ტვირთად არ უნდა დააწვეს მეწარმეებს, რაც მოხდა მოგების გადასახადისა და აქციზის გადასახადის შემთხვევაში (მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიღების დროს მოსალოდნელი იყო ბიუჯეტის შემოსულობების შემცირება და აქედან გამომდინარე, მოცემულის დასაბალანსებლად

გაიზარდა აქციზის გადასახადის განაკვეთი თამბაქოს პროდუქციაზე). საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერიდან (მუხლი 94) გამომდინარე, აქციზის გადასახადის გარდა სხვა გადასახადის განაკვეთის ზრდა არ არის შესაძლებელი რეფერენდუმის გარეშე, აქედან გამომდინარე ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც იწვევს ან შესაძლებელია გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი, არ შეიძლება ბალანსდებოდეს მხოლოდ აქციზის გადასახადის ცვლილებით.

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლში არსებული ჩანაწერი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ გატარდეს რეკომენდირებული რეფორმები საგადასახადო პოლიტიკის განხრით. რადგან არსებული ჩანაწერი ზღუდავს მოქმედების არეალს. არსებული საკონსტიტუციო ჩანაწერის პირობებში კი, რეკომენდაციის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ იმ შემთხვევაში თუ მცირდება ან/და შესაძლებელია შემცირდეს კონკრეტული გადასახადის განაკვეთი, შესაძლებელია ის დაბალანსდეს იმავე გადასახადის ჭრილში დასაბეგრი ბაზის გაზრდით. ასევე ბუნებრივია მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საგადასახადო შემოსულობების ნაწილში კონკრეტულად მოცემული გადასახადის წილობრივი მონაწილეობა და მისი გავლენა ბიუჯეტზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საგადასახადო განაკვეთები არ არის მიზეზი მეწარმეებისთვის მათი საქმიანობის შემაფერხებელი ფაქტორებიდან. საგადასახადო სისტემის და კანონმდებლობის ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენს ბუნდოვანება და არასტაბილურობა, რადგან არსებული ზოგიერთი ჩანაწერი არ იძლევა ზუსტ განმარტებას, ასევე საგადასახადო კოდექსში ხშირია ცვლილებები ფინანსური წლის განმავლობაში, მოცემული კი პირდაპირ კავშირშია საგადასახადო პოლიტიკასთან, რომლის გამოსწორება/დარეგულირება შესაძლებელია და სასურველიც.

მოცემული კვლევის საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

✚ ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის განსახორციელებლად, სასურველია კონსტიტუციის 94-მე მუხლის დაკორექტირება იმ მხრივ, რომ გადასახადების შემოღება ან/და უკვე არსებული განაკვეთების გაზრდა არ მოითხოვდეს რეფერენდუმს;

✚ იმ შემთხვევაში, თუ მცირდება გარკვეული გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა ან/და შემოდის არსებული გადასახადის გარკვეული საშეღავათო მოდელი (მაგალითად, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), სასურველია მოსალოდნელი ბიუჯეტის დეფიციტი დაბალანდეს არსებული გადასახადის დასაბეგრი ბაზის გაფართოებით და არა აქციზის გადასახადის განაკვეთის ზრდით გარკვეულ პროდუქციაზე. დასაბეგრი ბაზის გაფართოება შეიძლება განიხილოს ოპტიმალური გადაწყვეტილებად, რადგან არსებული საკონსტიტუციო ჩანაწერის საფუძველზე, შეუძლებელია დაბალანსება სხვა გადასახადის განაკვეთის უმნიშვნელო ზრდით (რაც ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ოპტიმალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს, ვიდრე დასაბეგრი ბაზის გაფართოება);

✚ თუ იცვლება დასაბეგრი ოპერაციის დრო, სასურველია ეს გაანალიზებული იყოს საქმიანობის ჭრილში. რადგან ხშირ შემთხვევაში, მიღებული რეფორმა სწორია რამდენიმე საქმიანობის ჭრილში, მაგრამ მისი გავრცელება ყველა მეწარმეზე (ავანსების დღგ-ით დაბეგვრა) თანაბრად, წარმოადგენს დაბრკოლებას მეწარმეებისთვის;

✚ სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, მეწარმეების უმეტესობას (58%) წნებად აწვება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, რაც შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს საპენსიო ფონდის დაარსების გამო. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული გადასახადის განაკვეთი შემცირდება, აუცილებელია, რომ ის დაბალანდეს იგივე გადასახადში დასაბეგრი ბაზის გაზრდით;

✚ სასურველია საგადასახადო კოდექსში დაზუსტდეს ორაზროვანი ჩანაწერები, რომელიც არ იძლევა ზუსტ განმარტებას. მოცემული მეწარმეებს საშუალებას მისცემს, რომ იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად და არ მოხდეს მათ მიერ მისი უნებური დარღვევა;

✚ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება მეწარმეთა ხელშესაწყობად, სასურველია მეტი ყურადღება გამახვილდეს წარმოების და სოფლის მეურნეობის სფეროზე;

✚ საკრედიტო რესურსების მოპოვების სირთულე მეწარმეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მათ საქმიანობაში, ამისათვის სასურველია

ბიზნესის დაკრედიტების სერვისის გარკვეული რეფორმირება, რათა უფრო მეტად გამარტივდეს მათთვის დაფინანსების მოპოვების საკითხები;

✚ ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან ბაზრის დაუცველობა, ასევე მნიშვნელოვანი ბარიერია მეწარმეთათვის, ამისათვის კი მიზანშეწონილია გამკაცრდეს ბაზარზე უხარისხო პროდუქციის კონტროლი; ასევე მეტი ყურადღება დაეთმოს კონკურენციის შესახებ კანონს, რადგან მეწარმეები იყვნენ თანაბარ პირობებში;

✚ სტარტაპებისთვის მეტად რთულია ბაზარზე დამკვიდრება, შესაბამისად სასურველია მათი გადასახადებისაგან გათავისუფლება მინიმუმ 2-3 წლით ან/და საწყის ეტაპზე მათი საქმიანობის შესაძლოდ დაბალი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრა;

✚ იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოში არ არის საკმარისად განვითარებული და მეტწილად ხორციელდება მისი იმპორტი, სასურველია დაწესდეს გარკვეული რეგულაციები იმპორტულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რათა საქართველოში მოყვანილმა პროდუქციამ შეძლოს კონკურენციის გაწევა (რადგან მოცემულის მოყვანა/წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება საქართველოში), რაც თავის მხრივ წახალისებს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას.

საქართველოში ბოლო წლებში გატარებული რეფორმების ანალიზი, უმეტეს შემთხვევაში არის მეწარმეების ხელშესაწყობად წინ გადადგმული ნაბიჯი. საიდანაც, მოცემული რეფორმიდან ერთ-ერთის მიზანი მცირე ბიზნესის განვითარება და მათი წახალისებაა სხვადასხვა შედეგებით, ნაწილი რეფორმებისა გათვლილია იმ მეწარმეებზე, რომელთა ინტერესში შედის საქმიანობის გაფართოება და შესაბამისად, მათთვის განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, რომლის თანახმად, ის თანხები, რომლებიც რეინვესტირებას მოხმარდება არ დაიბეგრება. ასევე, გაერთიანებული სახაზინო კოდეზი, სადაც მეწარმეებისთვის მარტივად არის შესაძლებელი გადასახადის გადახდა. ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნების ავტომატური სერვისი, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამარტივებული პროცედურაა მეწარმეებისთვის. საგადასახადო სანქციების

ლიბერალიზაცია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო ცვლილება საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებებია, რომლის განვითარება და ხელშეწყობა შედის ქვეყნის ინტერესებში და შესაბამისად, აღნიშნული რეფორმები არის დიდი გამოწვევა და ამავედროულად წახალისება მეწარმეებისთვის.

გამოქვეყნებული შრომები

1. Bukia I., Expectations and Results of Tax Reforms Implemented in Georgia. Referential and Reviewed International Scientific Journal „Saudi Journal of Economics and Finance (SJEF)“, vol. 3, issue N9, 2019, Dubai, United Arab Emirates, pp. 395-398;
2. ბუკია ი., სამეწარმეო საქმიანობის შემაფერხებელი ბარიერების დაძლევისათვის საქართველოში. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, 2019 წელი, თბილისი, გვ. 93-100;
3. Bukia I., The influence of tax reforms implemented in Georgia for entrepreneurship development. Referred International Journal „Ecoforum“, vol. 8, issueN2, 2019, Romania, pp. 584-587;
4. ბუკია ი., მცირე ბიზნესის ხელშეწყობი საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, 2019 წელი, თბილისი, გვ. 122-126;
5. ბუკია ი., მოგების გადასახადის ესტონური მოდელი - ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, N3, 2018 წელი, თბილისი, გვ. 84-90;
6. ბუკია ი., ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სტრატეგიები, პროექტები და შედეგები საქართველოში. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, 2018 წელი, თბილისი, გვ. 73-76;
7. ბუკია ი., ჩიკვილაძე მ., თამბაქოზე აქციზის განაკვეთის ზრდის გავლენა იმპორტსა და საბიუჯეტო შემოსულობებზე საქართველოში. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, 2017 წელი, თბილისი, გვ. 557-561.